

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს  
ზურაბ აზარაშვილს

**ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის  
საკითხებზე**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup>  
მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის  
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.*

ბატონო ზურაბ,

2022 წლის 23 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს N7186/22 განცხადებით მომართა ე.გ.-  
მ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით,  
დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხის შესწავლა მოითხოვა.

**1. ფაქტობრივი გარემოებები**

ე.გ. არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე უსინათლო  
პირი. სამედიცინო კლინიკა „ვერე XXI“-ის მიერ გაცემულ სამედიცინო-სოციალური  
ექსპერტიზის დასკვნაში, რომლის საფუძველზეც მას შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი  
განესაზღვრა, აღნიშნულია, რომ როგორც მკვეთრად გამოხატული შეზღუდული  
შესაძლებლობის მქონე პირი, იგი არის „შრომის უუნარო“.

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრისას უფლებამოსილი სამედიცინო  
დაწესებულებები ხელმძღვანელობენ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/ნ ბრძანებით - „შესაძლებლობის  
შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“  
(შემდგომში ბრძანება). პირის შემოწმებისას, სამედიცინო დაწესებულება შეისწავლის და  
აანალიზებს ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტებს, კრებს კლინიკურ-შრომით

ანამნეზსა და სინჯავს შესაფასებელ პირს<sup>1</sup>. შეფასების შემდგომ, ყველა იმ პირის სამედიცინო დოკუმენტში, ვისაც შეზღუდვის ხარისხად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა განესაზღვრება, აღინიშნება, რომ იგი „შრომის უუნაროა“. განმცხადებლის შეფასებით, მსგავსი ბლანკეტური მიდგომით, ერთი მხრივ, არ ხდება მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების რეალური უნარებისა და შესაძლებლობების შეფასება, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მიმართ არსებული სტერეოტიპული განწყობები წახალისდება და მათი შრომითი ბაზრიდან გარიყვის რისკები იზრდება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არსებული არაერთი სტერეოტიპის ფონზე, როდესაც დამსაქმებელი სამედიცინო ცნობით იღებს ინფორმაციას, რომ სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს „შრომის უუნაროდ“ აფასებს, დამატებითი ეჭვები უჩნდება ამ ადამიანის დასაქმების მიზანშეწონილობასთან მიმართებით.

## 2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის<sup>2</sup>.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

---

<sup>1</sup> საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/5 ბრძანება „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 5

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის № 1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობას უკავშირდება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონტექსტში თანასწორობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათი სხვადასხვა ფორმით დისკრიმინაციისას შემაშფოთებელ სიძნელებებს აწყდებიან<sup>3</sup>. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ გაეროს კონვენციით (შემდგომში კონვენცია), შეზღუდული შესაძლებლობის გამო ნებისმიერი პიროვნების დისკრიმინაცია ადამიანის თანდაყოლილი და განუყოფელი ღირსების დარღვევად არის აღიარებული<sup>4</sup>, ხოლო უფლებების განხორციელების უპირველეს გარანტიად ამ უფლებების სხვებთან თანასწორად რეალიზების უზრუნველყოფა მოიაზრება<sup>5</sup>.

კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გულისხმობს - „შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა; იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის უარს გონივრულ მისადაგებაზე“. საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციით, **სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის**<sup>6</sup>.

კონვენციით აღიარებული სტანდარტების თანახმად, ყველა მონაწილე სახელმწიფომ არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისა და, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სრული დაცვის სისტემატური, პროგრესირებადი უზრუნველყოფისათვის<sup>7</sup>. ამასთან, წევრი სახელმწიფო ვალდებულია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის, სრული ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მიღწევისა და გამოყენების შესაძლებლობა უზრუნველყოს<sup>8</sup>.

კონვენცია ასევე ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების მხრიდან **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების აღიარებას**, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე და კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეულ ნებისმიერ

---

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 4

<sup>7</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 4, პუნქტი 2

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 26

დისკრიმინაციას დასაქმების ყველა ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის: სამუშაოზე აყვანის პირობები, დაქირავება და დასაქმება, სამუშაო ადგილის შენარჩუნება, სამსახურებრივი წინსვლა, სამუშაო ადგილის უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო. სახელმწიფოებმა შესაბამისი საფუძვლების გავლით, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე უნდა დაიცვან და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რათა მათ შეძლონ შრომის უფლების რეალიზება<sup>9</sup>.

კონვენციით აღიარებულ სტანდარტებს ითვალისწინებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია ბაზარზე სხვებთან თანაბარ პირობებში დასაქმების შესაძლებლობის შექმნას, მათ შორის, ამ მიზნის მისაღწევად, უფლებამოსილია, დროებითი ღონისძიებები გამოიყენოს. ამასთან, სახელმწიფომ უნდა დაიცვას და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შრომის უფლების რეალიზებას და უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ სხვებთან თანასწორი უფლება შრომის სამართლიან და ხელსაყრელ პირობებზე, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე, აგრეთვე იძულებითი შრომისა და დისკრიმინაციისაგან დაცვაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრისა და შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტის გაცემის მიზნებისთვის უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებები საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/5 ბრძანებით - „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ხელმძღვანელობენ. ბრძანების თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დგინდება ქმედობაუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის შემთხვევაში<sup>10</sup>. ხოლო, პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენას საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალური, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება. მხედველობაში მიიღება დაავადების ხასიათი, ორგანიზმის სისტემების და ორგანოთა ფუნქციურ დარღვევათა ხარისხი, მკურნალობისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ეფექტურობა, კლინიკური და შრომითი პროგნოზი, სოციალური ადაპტაციის შესაძლებლობები, პროფესია, შრომის კონკრეტული პირობები და ხასიათი. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის მიზნით, შესაბამისი დაწესებულების შერჩევა ხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს

<sup>9</sup> იქვე, მუხლი 27

<sup>10</sup> საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/5 ბრძანება „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 2

დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ<sup>11</sup>.

პირის ქმედობაუნარიანობის შეფასებისას ფასდება<sup>12</sup> (ა) **თვითმომსახურების უნარი** (ადამიანის მიერ ძირითადი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქმიანობის და პირადი ჰიგიენის ჩვევების შესრულების უნარი); (ბ) **გადაადგილების უნარი** (სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილების, მექანიკური წინააღმდეგობების გადალახვის, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობის ფარგლებში სხეულის წონასწორობის შენარჩუნების უნარი); (გ) **სწავლის უნარი** (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და ა.შ. ცოდნის მიღების, სოციალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო ჩვევების ათვისების უნარი); (დ) **შრომითი საქმიანობის უნარი** (სამუშაოს ხასიათის, მოცულობისა და პირობების მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოს შესრულების უნარი); (ე) **ორიენტაციის უნარი** (დროში და გარემო-სივრცეში გარკვევის, გარემოდან ისეთი სიგნალების მიღების, როგორცაა დანახვა, მოსმენა, შეხება, მეტყველება, ყნოსვა და ამ სიგნალების ასიმილაციის მეშვეობით საპასუხო რეაქციის გამოხატვის უნარი); (ვ) **ურთიერთობის უნარი** (ინფორმაციის მიღების, აღქმის, ანალიზისა და გადაცემის გზით ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი) და (ზ) **თვითკონტროლის უნარი** (სოციალურ-სამართლებრივი ნორმების ფარგლებში ქცევის და თავის მოქმედებაზე კონტროლის უნარი). თავის მხრივ, შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვა ფასდება შემდეგი ხარისხებით<sup>13</sup>: **პირველი ხარისხი** – შრომითი საქმიანობის შესრულების უნარი კვალიფიკაციის დაქვეითების ან სამუშაოს მოცულობის შემცირების პირობებში ან თავისი პროფესიით მუშაობის შეუძლებლობა; **მეორე ხარისხი** – შრომითი საქმიანობის შესრულების უნარი სპეციალურად შექმნილ პირობებში (სპეციალიზებული საწარმო, საამქრო, უბანი, ბინაზე შრომა) ან ჩვეულებრივ საწარმოო პირობებში სპეციალურად მოწყობილ სამუშაო ადგილზე დამხმარე საშუალებების გამოყენებით და/ან სხვა პირთა დახმარებით და **მესამე ხარისხი** – შრომითი საქმიანობის შეუძლებლობა. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი მიენიჭება პირს, რომელსაც შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვა შეფასებული აქვს მეორე ან მესამე ხარისხით<sup>14</sup>.

უპირველესად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველი შემამფოთებლად მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უწყებების ნორმატიული აქტები და პოლიტიკა შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებს ჯერ კიდევ სამედიცინო მოდელების კუთხით უდგება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდელები გაეროს კონვენციის პრინციპებთან და მიდგომებთან შეუსაბამოა. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მე-ნ ზოგად კომენტარში ხაზგასმულია, რომ შეზღუდული

<sup>11</sup> იქვე, მუხლი 3<sup>2</sup>, პუნქტი 1

<sup>12</sup> იქვე, მუხლი 7, პუნქტი 1

<sup>13</sup> იქვე, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „დ“

<sup>14</sup> იქვე, მუხლი 8, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „გ“

შესაძლებლობის სამედიცინო მოდელის გამოყენება ხელს უშლის თანასწორობის პრინციპის მისადაგებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. კერძოდ, მსგავსი პარადიგმების მუდმივი გამოყენება ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აღიარებას უფლებების სრულყოფილ სუბიექტებად და უფლებების მქონეებად. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობას სოციალურ კონსტრუქციად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ დარღვევა არ უნდა ითვლებოდეს ლეგიტიმურ საფუძვლად ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ან მათზე უარის თქმისათვის<sup>15</sup>.

სამედიცინო მოდელის ბიოფსიქოსოციალური მოდელით ჩანაცვლება გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობითაც. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>16</sup>, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ავალდებულებს 2023 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცება.

სახალხო დამცველი წლებია ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო მოდელის კვლავ გამოყენების გზით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სისტემური დისკრიმინაციის პრაქტიკაზე. სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში - „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ აღინიშნა, რომ კვლავ გამოწვევად რჩება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სამართლიან სისტემაზე გადასვლა, რომელიც გარდა სამედიცინო ჩვენებისა, ყურადღებას გამახვილებს პირის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებული პრობლემების ჭრილში, სტატუსის მინიჭების მოდელის ხარვეზიანობაზე ყურადღება ასევე გამახვილდა სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალურ ანგარიშშიც - „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“. სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში სრულად ჩაანაცვლოს ბიოფსიქოსოციალური მოდელით, ხოლო ცვლილებამდე პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სამედიცინო მოდელის მოქმედებით განპირობებული უთანასწორობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები<sup>17</sup>.

<sup>15</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment no.6, 26/04/2018, § 8-9

<sup>16</sup> საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მუხლი 37, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“

<sup>17</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, (2021) გვ 71

სახალხო დამცველის შეფასებით, განხილული სტანდარტების საპირისპიროდ, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისა და მათი სამუშაო სფეროდან გამორიცხვის პრევენციისკენ არის მიმართული, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისთვის იმგვარი ჩანაწერის გაკეთება, რომ ისინი წარმოადგენენ „შრომის უუნარო“ პირებს, მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას ახალისებს და შრომითი ბაზრიდან მათი გარიყვის რისკებს ზრდის. ტერმინის „შრომის უუნარო“ გამოყენება პრობლემურია, რამდენადაც მისი განმარტება შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელზეა აგებული და არ ითვალისწინებს გარკვეული შეზღუდვის ხარისხისა და ფორმის (I ჯგუფის, II ჯგუფის და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი) მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ამასთან, ყველა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, განურჩევლად შეზღუდვის ტიპისა, ბლანკეტური შეფასების გაკეთება, რომ ისინი სტატუსის სიმძიმეიდან გამომდინარე ვერ შეძლებენ შრომით ურთიერთობაში შესვლასა და შრომითი საქმიანობის განხორციელებას, მათ მიმართ არსებულ სტერეოტიპულ განწყობებს კიდევ უფრო აძლიერებს და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მცისიერი დანერგვის საჭიროებაზე მიუთითებს. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ მცისიერი ზომები გაატარონ იმისთვის, რათა კანონები, პოლიტიკის დოკუმენტები და პროგრამები არ ახდენდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასოცირებას შრომის უუნარობასთან.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს მიმართავს ზოგადი წინადადებით:

- მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელის ბიოფსიქოსოციალური მოდელით ჩანაცვლება და მხედველობაში მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამდგენ დაწესებულებებს დაავალოს, შეფასების პროცესში გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები და აღმოფხვრან სამედიცინო დოკუმენტებში ტერმინის „შრომის უუნაროს“ გამოყენების პრაქტიკა.

გთხოვთ, წინამდებარე ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,